საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №244/04
2019 წლის 19 დეკემბერი

ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის №215/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის №215/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 27/09/2018; ს/კ: 220020000.18.011.016343) დამტკიცებულ კოდექსში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ კოდექსის 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ამ მუხლის მე-5 პუნქტისგან განსხვავებით ბანკებმა, რომლებიც არ არიან სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკები, ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკონტრაქტო ურთიერთობები ამ კოდექსის მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ 2020 წლის 31 დეკემბრამდე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**